პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 75 (13757) | ხუთშაბათი, 30 მარტი, 1967 წ | ფასი 2 კაპ.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივი ოქტომბრის საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას. აქ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მოსამზადებელი საამქროს მოწინავე მქსელავები ზ. შაუულაშვილი და ლ. ზანგურაშვილი. ისინი დღიურ ნორმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ. სურათზე: ზ. შაუულაშვილი (მარცხნივ) და ლ. ზანგურაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ლენინური პარტიის დროშით

ჩვენი ცხოვრებისა და შრომის ყოველი დღე გახსოვსნებულია ოქტომბრის შუქით. და რაც უფრო ახლოვდება მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს 50 წლისთავი — საბჭოთა ხალხის, ყველა ქვეყნის შრომელთა დიადი და სასიხარულო დღესასწაული, — მით უფრო ფართოდ გვეფინება ეს ცხოველმყოფელი შუქი, მით უფრო ცხადი ხდება ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ახალი საზოგადოების მშენებელთა შემოქმედებითი ენერგია.

თვალს ავლებს რა გმირული ბრძოლისა და გამარჯვებების ნახევარსუკუნოვან გზას, რომელიც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით განვლო, საბჭოთა ხალხი სიამაყით ამბობს: საქმე რომელიც დიდმა ოქტომბერმა დაიწყო, ცოცხლობს, იმარჯვებს და ვითარდება! იგი წარმატებით გრძელდება საბჭოების ქვეყანაში, მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებში, მისი წარმატებანი შთაგონებენ მილიონობით რევოლუციურ მებრძოლს ყველა კონტინენტზე.

ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი ოქტომბრის იუბილეს ეგებებიან ურყევი რევოლუციური ოპტიმიზმითა და დიდი კომუნისტური საქმის გამარჯვების რწმენით, მომავლის ნათელი პერსპექტივებითა და გეგმებით. ეს გეგმები განსაზღვრა პარტიის პროგრამამ, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ყრილობისა, რომლის გახსნის წლისთავი დღეს სრულდება.

XXIII ყრილობა, რომელმაც ცხადყო პარტიის მონოლითური ერთიანობა, მისი უურყევი ერთგულება ლენინური დროშისადმი, უნარი გონივრულად და რეალისტურად, პრინციპულად და საქმიანად გადაჭრას ახალი საზოგადოების შექმნის მომწიფებული პრობლემები. დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო კომუნიზმის ისტორიულ გზაზე.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, ახალი პირობების ღრმა მეცნიერული ანალიზის, პარტიისა და ხალხის გამოცდილების, ფართო ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინების საფუძველზე ყრილობამ წამოაყენა და დაასაბუთა კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მთავარი ამოცანები, შეიმუშავა პარტიის პოლიტიკური ხაზი უახლოესი წლებისათვის. ყრილობამ განსაზღვრა საშინაო პოლიტიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითადი მიმართულებანი მორიგი ხუთწლეულისათვის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის გზები, დასახა პარტიისა და სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური კურსი, პარტიის — კომუნისტისათვის ბრძოლაში საბჭოთა საზოგადოების წამყვანი და წარმმართველი ძალის შემდგომი ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური განმტკიცების მორიგი ამოცანები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის გადაწყვეტილებებში სრულად განსახიერდა და განვითარდა ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.), მარტისა და სექტემბრის პლენუმების უმნიშვნელოვანესი დებულებანი, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ მუშაობის სწორი, ნამდვილად ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის.

გასული წლის შემოქმედებითი საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში, საერთაშორისო ასპარეზზე მომხდარი ამბები ხავსებით ადასტურებენ, რომ სწორია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კურსი, რომელიც XXIII ყრილობამ შეიმუშავა. ყრილობამ გზა მისცა საბჭოთა ადამიანების ახალ ენერგიას, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ისინი პარტიის გარშემო, რასაც და-მაჯერებლად მოწმობს საბჭოების ამასწინანდელი არჩევნების შედეგები. შრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა ზრდა. ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა საერთო-სახალხო ბრძოლა პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

ეკონომიკის დარგში პარტია ისწრაფვის გაზარდოს მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, და ეს უკვე გვაძლევს პირველ ნაყოფიერ შედეგებს. დაჩქარდა ეკონომიური განვითარების ტემპები. 1966 წელს ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის, მშრომელთა რეალური შემოსავლის ზრდამ გადააჭარბა საშუალოწლიურ დავალებებს, რომლებიც ყრილობის დირექტივებით ხუთწლეულისთვის იყო გათვალისწინებული. სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვნად დაჩქარდა მოგების ზრდა. მთლიანად სამრეწველო წარმოების 1966 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სამრეწველო პროდუქციის გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი პირობა — ამას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდონ სამინისტროები და უწყებები, პარტიული ორგანიზაციები. საბჭოები, პროფკავშირები, კომკავშირი იმიტომაც, რომ ჯერჯერობით კაპიტალური მშენებლობაში კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა სახავენ მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა სრულყონ მშენებლობის ხელმძღვანელობა. ეს ღონისძიებანი უნდა განვამტკიცოთ თვითეულ მშენებლობაზე საქმის უფრო ეფექტიანი ორგანიზაციით.

ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია ხალხის ცხოვრების ღონის ამაღლების, საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხები. როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა კეთილდღეობის უფრო სწრაფად გაუმჯობესებისათვის. გაძლიერდა ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ზრდის ტემპი, გაუმჯობესდა მოსახლეობის მომარაგება კვების პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით. ამასთანავე პარტია ხედავს სიძნელეებსაც, რომლებიც, ჯერ კიდევ არის, მაგალითად, ზოგიერთი საქონლით მომარაგებაში. თუმცა სამრეწველო ნაწარმის გამოშვება გაიზარდა, ჯერ კიდევ მოლიანად ვერ კმაყოფილდება მზარდი მოთხოვნილება ზოგიერთ საქონელზე. ახლა დიდი ღონისძიებანი ხორციელდება ასეთი საქონლის წარმოების გასაფართოებლად.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საბინაო მშენებლობის გაფართოებას. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში თითქმის 22 მილიონმა კაცმა მიიღო ახალი ბინა ან გაიუმჯობესა საბინაო პირობები. წელს საბინაო მშენებლობის მოცულობა ქალაქებში, მუშათა დაბებსა და საბჭოთა მეურნეობებში კიდევ 14 პროცენტით გადიდდება. შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შესრულოს მუშათა და მოსამსახურეთა გადაყვანამ ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე, რაც ახლა ხორციელდება.

სკკპ XXIII ყრილობა, მისი გადაწყვეტილებანი, პარტიის დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა უდიდეს გავლენას ახდენს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეზე. ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასთან ერთად სრულყოფილი ხდება სოციალისტური დემოკრატია, დიდდება მშრომელთა აქტივობა ხაზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში. ნაყოფს იძლევა ის დიდი მუშაობა, რომლის მიზანია ადამიანთა ყოველმხრივი კომუნისტური აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

კიდევ უფრო ამაღლდა პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი, კიდევ უფრო გაიზარდა მისი ავტორიტეტი მასებში. ხალხი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ დიდ ენერგიასა და თამამიდევრულობას, რომლითაც წარმართავს ცენტრალური კომიტეტი ყრილობის გადაწყვეტილებათა ხაფუძველზე ჩვენი ქვეყნის მთელი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას.

ამკვიდრებს და ავითარებს რა ლენინურ ნორმებს, პარტია ზრუნავს მუშაობის კოლექტიურობის პრინციპების სრულყოფისათვის, შინაპარტიული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის, იმისათვის, რომ გაძლიერდეს კომუნისტების ავანგარდული როლი და მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, განმტკიცდეს პარტიულ ორგანიზაციათა კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. ადგილობრივი პარტიული კომიტეტები და ორგანიზაციები ცდილობენ ახალი ამოცანების დონეზე აიყვანონ კადრების შერჩევა და აღზრდა, შესრულების შემოწმება, მთელი თავიანთი ორგანიზაციული და იდეოლოგიური საქმიანობა. ეს არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებით ხელმძღვანელობის საფუძველი.

მტკიცედ და თანმიმდევრულად ბორკიელდება ლენინური საგარეოპოლიტიკური კურსი. ჩვენი პარტია და სახელმწიფო რთულ საერთაშორისო ვითარებაში წარმატებით წყვეტენ სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წ.) პლენუმის მიერ დასახული უმნიშვნელოვანეს საგარეოპოლიტიკურ ამოცანებს. ლენინის ანდერძის ერთგული პარტია განუხრელად ახორციელებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ განმტკიცდეს სოციალისტური სისტემის შეკავშირება და ძლიერება, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, მხარს უჭერს კოლონიური ჩაგვრისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს.

საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა — ეს არის პოლიტიკა აქტიური ბრძოლისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და მეგობრობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ხელშემწყობი საგარეო პირობების შექმნისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა ბევრი პოლიტიკური აქცია, რომლებსაც ამ ბოლო დროს მიმართეს სსრ კავშირმა და მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა. განუხრელად იზრდება სოციალიზმის ქვეყნების გავლენა მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე, სულ უფრო მტკიცდება მათი პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე.

ფართოვდება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ავანტიურა ვიეტნამში მხხვერპლის — ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმისადმი საერთაშორისო მხარდაჭერა. საბჭოთა კავშირი და სოციალიზმის სხვა ქვეყნები საქმით იჩენენ თავიანთ ხოლიდარობას გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი, ყოველნაირად ეხმარებიან მას.

ჩვენი პარტია და ხალხი გვერდს ვერ აუვლიან მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს ერთობლივ მოქმედებას, მიმართულს მებრძოლი ვიეტნამის მხარდასაჭერად. საბჭოთა ხალხი გადაჭრით უარყოფს ახლანდელ პეკინელ ხელმძღვანელთა დიდმპყრობელურ, გამთიელ პოლიტიკას, რომელსაც საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმთან. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არავინ არ აიგივებს მაო ძე-დუნის ჯგუფსა და ჩინელ ხალხს. გვჯერა, რომ დადგება დრო და ჩინელი კომუნისტები, ჩინელი ხალხი შეძლებენ საბჭოთა კავშირთან, სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის გზას დაუბრუნონ თავიანთი ქვეყანა, როგორც ამას მოითხოვს სოციალიზმისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ინტერესები.

უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტი, კიდევ უფრო განმტკიცდა და გაიზარდა მისი ეკონომიური ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება შესაძლებელს გახდის ახალი დიდი ნაბიჯის გადადგმას კომუნიზმის ისტორიულ გზაზე. კომუნისტური პარტიის მიერ შთაგონებულნი, ისინი აჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. „საიუბილეო წელს — დამკვრელური შრომა!“ „საიუბილეო წელს — უზვი მოსავალი!“, „ჩვენს შორის არ უნდა იყოს არცერთი ჩამორჩენილი!“, „შეავსრულოთ გეგმა ძალებისა და სახსრების უმცირესი დანახარჯებით!“ — ასეთია შეჯიბრების მონაწილეთა დევიზები.

ჩვენს წინაშე დიდი, რთული ამოცანები დგას. მაგრამ საბჭოთა ხალხი რწმენით შეჰყურებს მომავალს. ამ ოპტიმიზმს საფუძვლად უდევს ჩვენი უდიდესი შესაძლებლობების რეალური გათვალისწინება, პარტიისა და ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალები. ჩვენ წინ მიგვიძღვის დიდი ლენინის მიერ შექმნილი, მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური მოძღვრებით შეიარაღებული, მასებთან მჭიდროდ დაკავშირებული პარტია, რომელმაც ახალი საზოგადოების მშენებლობის ხელმძღვანელობის გიგანტური გამოცდილება შეიძინა. საბჭოთა ხალხს ლენინური პარტია მიაჩნია თავის ნაცად ორგანიზატორად და პოლიტიკურ ბელადად კომუნიზმის აშენებისათვის ძლევამოსილ ბრძოლაში.

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

28 მარტს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუიჯი ლონგოს საუბარი.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

საუბრის დროს მათ აზრი გაუზიარეს ერთმანეთს მრავალ საკითხზე, რომლებიც ეხება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობასა და მისი რიგების შეკავშირების ღონისძიებებს, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საჭირბოროტო პრობლემებს.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი აგრესიის მზარი ესკალაცია ვიეტნამში ამხილებს ამერიკის მმართველი წრეების „ალბ განცხადებებს, თითქოს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მდგომარეობის მშვიდობიან მოწესრიგებას ესწრაფვოდნენ და საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და იტალიის კომუნისტურ პარტიას თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც სამართლიან ბრძოლას ეწევა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ორივე პარტიას.საჭიროდ მიაჩნია გააძლიერონ ბრძოლა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის სულ უფრო მზარდი საფრთხის წინააღმდეგ, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ რა ფორმითაც უნდა იყოს ეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და იტალიის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოძმე პარტიების ურთიერთკონსულტაციებს კომუნისტური რიგების შეკავშირების განმტკიცების საკითხებზე. ორივე პარტია მუდამ დიდად აფასებდა ორმხრივ და მრავალმხრივ კონტაქტებსა და შეხვედრებს, კომპარტიათა საერთაშორისო თათბირებს, როგორც აზრისა და გამოცდილების გაზიარის, საერთო მეცადინეობით მარქსისტულ-ლენინური თეორიის გამდიდრების, კომუნისტთა საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში ერთიანი პოზიციების შემუშავების ეფექტიან ფორმას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და იტალიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნიათ, რომ მოძმე პარტიებმა ახალი თათბირის მოსაწვევად უნდა გასწიონ დიდი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა თათბირის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრისათვის, ამასთან მხედველობაში აქვთ, რომ საუკეთესო პირობები უნდა შეიქმნას თვით თათბირის წარმატებით გამართვისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობის განმტკიცების პროცესისათვის.

ორივე პარტიამ კმაყოფილებით აღნიშნა, თუ რა კეთილნაყოფიერად ვითარდება საბჭოთა კავშირ-იტალიის სახელმწიფოთშორის ურთიერთობა, ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობა.

საუბარმა, რომელიც მიმდინარეობდა ერთსულოვნებისა და ძმური მეგობრობის სულისკვეთებით, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იტალიის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს და აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის მრავალრიცხოვან აქტივს საქართველოს რადიოს 40 წლისთავსა და საქართველოს ტელევიზიის 10 წლისთავს.

საბჭოთა რადიო და ტელევიზია, არიან რა ლენინური გენერალური ხაზის, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი თანაშემწენი, დიდ მუშაობას ეწევიან სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. საქართველოს სსრ რადიო და ტელევიზია მთელი თავისი არსებობის მანძილზე აქტიურად ეხმარებოდნენ და ეხმარებიან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს მრავალფეროვან მუშაობაში ეკონომიკისა და კულტურის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ახლა, როცა საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან დიადი თარიღის — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ვალია უფრო ღრმად, უფრო ნათლად აჩვენებდნენ სოციალიზმის შემოქმედებითს ძალას, კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის ხალხთა მიერ მოპოვებულ დიდ წარმატებებს, დაუცხრომლად ავითარებდნენ მასების შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, აყალიბებდნენ რესპუბლიკის მშრომელებში მეცნიერულ მსოფლმხედველობასა და კომუნისტურ ზნეობას, ყოველმხრივ აშუქებდნენ პარტიელი, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, გაბედულად ამხილებდნენ ნაკლოვანებებს და ხელს უწყობდნენ მათს აღმოფხვრას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს, ავტორთა მთელ კოლექტივს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს შემოქმედებით შრომაში ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV რესპუბლიკურ კონფერენციას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებსა და საზოგადოების ყველა წევრს და უსურვებს დიდ წარმატებებს მუშაობაში.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV რესპუბლიკური კონფერენცია მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია მსოფლიო-ისტორიული დღესასწაულისათვის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებით.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წმიდათა წმიდა მოვალეობად. სკკპ XXIII ყრილობამ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედოდ უზრუნველყოფისათვის უნდა გავაძლიერეთ ყურადღება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების, ყველა საბჭოთა ადამიანის სიფხიზლის ამაღლების, სამშობლოს დასაცავად მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით მათი აღზრდის საკითხებისადმი. ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეებისა და მოსწავლეების ფართო მასებს.

რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მილიონზე მეტ წევრს საბჭოთა პატრიოტების ერთიან ოჯახში ღირსეული წვლილი შეაქვს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ყველა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ის, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ მშრომელთა და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ და სრულვყოთ მუშაობა სამხედრო და ტექნიკური ცოდნის საფუძვლების გავრცელებისათვის, გავაუმჯობესოთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და თავდაცვისათვის საჭირო მასობრივი ტექნიკური პროფესიების კადრების მომზადების ხარისხი, განუხრელად განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მუშაობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციები პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური მხარდაჭერით, კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს შეხვდებიან ახალი, უფრო მაღალი მაჩვენებლებით თავდაცვით-მასობრივ, სასწავლო და სპორტულ მუშაობაში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმისაკენ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მილიონთა ტრიბუნა

საქართველოს რადიოს 40 წლისთავი და საქართველოს ტელევიზიის 10 წლისთავი

ამ თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც გაიმართა 29 მარტს თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **კ. გარდაფხაძემ.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ** წაიკითხა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებისადმი.

მოხსენება საქართველოს რადიოს 40 წლისთავისა და საქართველოს ტელევიზიის 10 წლისთავის შესახებ გააკეთა **კ. გარდაფხაძემ.**

მიხასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გ. ივანოვი,** რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი,** რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი **კ. ქავთარაძე,** ლენინგრადის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ფილიპოვი,** სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ჯ. კირაკოსიანი,** აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ჯ. შიხზამანოვი,** წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნ. ყოჩიაშვილი,** რესპუბლიკაში რადიოგადაცემების მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი **დ. ხმიადაშვილი,** რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე **დ. ბარათაშვილი,** რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ხ. ჭილაია,** საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ა. მაჭავარიანი,** რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე **დ. ანთაძე.** საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი **ხ. დოლიძე,** საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმის წევრი პროფესორი **პ. გუგუშვილი.**

საზეიმო სხდომის მონაწილეთა-თვის გაიმართა **კონცერტი.** (საქდესი).

შრომითი ნობათები

საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ვარდოშვილმა, რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. მეზვრიშვილმა** „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ თელაველმა მშრომელებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდეს. 27 მარტს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 138 პროცენტით, რძისა — 162 პროცენტით, კვერცხისა — 101 პროცენტით.

ლენინგორელმა მშრომელებმა პირობა გაანაღდეს, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. მარგიევმა,** რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **თ. დურგლიშვილმა,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ზ. ქოზაევმა,** — 28 მარტისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1.820 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 1.770 ცენტნერისა, 2.402 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.462 ცენტნერისა, 105.000 ცალი კვერცხი ნაცვლად 97 ათასი ცალისა.

საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა **შ. ნემსაძემ** „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა, რომ მარნეულის რაიონის მშრომელების პირობა იყო სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა 30 მარტისათვის შეესრულებინათ. ფაქტიურად 27 მარტისათვის პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა შესრულდა 103,4 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე ყველა სახის ტყავნეღლეულის მიყიდვის გეგმები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახვედრად

გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულობის მოსამზადებელი კომისიის მორიგი სხდომა.

ინფორმაცია ოქტომბრის 50 წლისთავისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მომზადების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლომიძემ.

სახელოვანი იუბილესათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დამთვალიერებელი გაეცნობიან რესპუბლიკის წარმატებებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. აჩვენებენ ფერად მოკლემეტრაჟიან ფილმს „საბჭოთა საქართველოს“, აგრეთვე ფოტოდოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებს. საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ცალკეულ პავილიონებში ფოტოსურათებით, დიაგრამებით, ეკსპონატებით წარმოდგენილი იქნება ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, ყოფა-ცხოვრების მიღწევები. ფართოდ იქნება ნაჩვენები სახალხო მოხმარების იმ საქონლის მრავალფეროვანი ასორტიმენტი, რომელსაც უშვებენ მსუბუქი, კვების, ადგილობრივი და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები.

კომისიაზე გამოვიდა რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სახალხო არტისტი დ. თორაძე.

ქართველი კომპოზიტორები შთაგონებით მუშაობენ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალ ნაწარმოებებზე. ამ სახელოვანი თარიღისათვის შექმნილი მუსიკა, ხატოვანი პოეტური ენით ასახავს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, სახელოვან გზას, რომელიც მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ განვლო.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა მოაწყო კონკურსი ჩვენი სამშობლოს ნაბიჯარი საუკუნის იუბილესადმი მიძღვნილი საუკეთესო სიმღერებისათვის, გამარჯვებულ სიმღერებს შორისაა კომპოზიტორების ო. თევდორაძის, რ. გაბიჩვაძის, შ. მილორავას, გ. უანჩელის, ტ. ბაქრაძის, ი. კეკელიძის, ა. ჩიჩიბას ნაწარმოებები.

ჩვენმა კომპოზიტორებმა დაწერეს ახალი ოპერები: შ. მშველიძემ — „ჯარისკაცის ქვრივი“, ა. კერესელიძემ — „ციხარტაელნი“. სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირში მოისმინეს რ. გაბიჩვაძის ოპერა „ჩვენ — მსოფლიოს დედები“.

კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებების მიხედვით წერს საოპერო ნოველებს. თანამედროვე თემას მიეძღვნა ა. ბალანჩივაძის ოპერა „საქორწინო კაბა“, რ. ლაღიძემ დაწერა თავისი პირველი ოპერა „ლელა“.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი იუბილესთვის მაყურებლებს უჩვენებს ა. შავერნაშვილის ახალ ოპერას „მაიას“ ლეო ქიაჩელის ნაწარმოების „თავადის ქალი მაიას“ მიხედვით. სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ჭაბუკიანი დგამს კომპოზიტორ ფ. ღლონტის ბალეტს „ილიადა — 1917“.

ქართველი კომპოზიტორები, ო. გორდელი, ს. ცინცაძე, შ. მილორავა, გ. ცაბაძე და სხვები წერენ ოპერეტებს. ჩვენი კომპოზიტორები ნორჩ მსმენელთა წინაშეც არ დარჩენენ ვალში. ბავშვებისათვის ოპერები დაწერეს მ. დავითაშვილმა, ნ. მამისაშვილმა, ნ. ვაჩაძემ. სახელოვან იუბილეს აღსანიშნავად იქმნება ახალი სიმფონიები, კანტატები, ორატორიები და კონცერტები.

საიუბილეო თარიღისათვის მზადებასთან დაკავშირებით აპრილში რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირი მართავს პლენუმს. ეს იქნება თავისებური ანგარიში ქართველ მსმენელთა წინაშე. პლენუმზე მოისმენენ ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ხ. ნახიძის, ტ. ბაქრაძის, ნ. გუდიაშვილის, აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორების — გ. უანჩელის, ვ. აზარაშვილის, ი. გეჯაძის, რ. ქარუხნიშვილის, ნ. გაბუნიას, ა. ჩიჩიბას, ნ. მამისაშვილისა და სხვების ნაწარმოებებს.

მსმენელები გაეცნობიან ბ. კვერნაძის კონცერტს, ს. ცინცაძის № 6 კვარტეტს.

მოცულ ხანში რუსთაველი გაიმართება ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამსვლელი პლენუმი. ამ თარიღთან დაკავშირებით ქართული მუსიკის კონცერტები გაიმართება იაროსლავლში.

საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ზ. ლეფავამ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის მხატვრები საბჭოთა სახელმწიფოს იუბილესათვის. ქართველი მხატვრების წარმატებას მოწმობს ახალგაზრდა მხატვართა სრულიად საკავშირო გამოფენა მოსკოვში, რომელშიც ახალგაზრდა მხატვრებმა თ. მირზაშვილმა, ბ. ციბაძემ და კ. გურულმა პირველი პრემიები დაიმსახურეს.

მხატვრებისათვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება სრულიად საკავშირო კონკურსი დიდი ლენინის პორტრეტის შექმნისათვის. ბელადის სახის შექმნაში დიდი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვეს მოქანდაკეებმა ვ. თოფურიძემ და მ. მერაბიშვილმა. ვ. ი. ლენინის ექვსმეტრიანი ქანდაკება, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ვ. თოფურიძემ შექმნა, დაიდგმება მოსკოვის ილიჩის სახელობის ქარხნის ტერიტორიაზე. მ. მერაბიშვილი წარმატებით გამოვიდა ლენინის ძეგლის პროექტების სრულიად საკავშირო კონკურსში. მისი ნამუშევარი დაიდგმება კრემლის ტერიტორიაზე. რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა ო. სტურუამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტში მოხატა დარბაზი. მოხატულობის თემაა ლენინიანა.

მხატვართა კავშირი რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად აწყობს კონკურსს ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავი საუკეთესო პლაკატებისა და ხაიუბილეო ხუვენირებისათვის. საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად შემუშავებულია თემატური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ბათუმის დახურული საკოლმეურნეო ბაზრის, თბილისის ავტოვოგზალის, ავტოვოგზალის ტურისტული სასტუმროების, თბილისის კინო-საკონცერტო დარბაზის, ქობულეთისა და სოხუმის სანატორიუმების [illegible] ნაგებობებად. მუშაობაში ჩაბმული არიან [illegible] ტურისტული [illegible] და არქიტექტორები. მათ შორის ძმები ოჩიაურები, ელგუჯა ამაშუკელი, ძმები ბერძენიშვილები, ლ. მესხიშვილი და სხვები.

საიუბილეო ზეიმის დღეებში რესპუბლიკაში იმუშავებს ქართველი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენა. გამოფენას ნახავენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკათა მეზობლებიც.

როგორც ცნობილია, ამბროლაურში შეიქმნა თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ჩვენმა მხატვრებმა მუზეუმს საჩუქრად გადასცეს საუკეთესო ნაწარმოებები. იუბილეს დღეებში სიღნაღსა და ზესტაფონში გაიხსნება სახვითი ხელოვნების მუზეუმები.

რესპუბლიკის მხატვართა წინაშე ახლა დიდი ამოცანა დგას: შექმნან ტილოები და ქანდაკებანი დიდი ოქტომბრის შესახებ. ასახონ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შთაგონებული შრომა. ზეიმის დღეებში ცენტრალური მოვლენა იქნება ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა, რომელიც საქართველოს სურათების გალერეაში გაიხსნება. საუკეთესო ნამუშევრები შეირჩევა მოსკოვის სრულიად საკავშირო გამოფენისათვის.

ინფორმაციათა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხორავა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი და სხვები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა. (საქდესი).

გავაძლიეროთ სამხედრო-პატრიოტული მუშაობა მშრომელთა შორის

მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას ევსახურება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება. ეს მასობრივი ორგანიზაცია ერთიანებს საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოებების ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობა მშრომელთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, ფართოდ წარმოსდგა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლომიძემ.

საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კონფერენცია

საგანგებო მოხსენება გააკეთა საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალ-ლეიტენანტმა — საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ჯანჯღავამ.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის სარეგიონო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ ნ. მშვენიერაძემ.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ა. შეგრდნაძე, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი — საქართველოს სსრ ავტო-მოტოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარე თ. დავითაშვილი, ქუთაისის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ჯამბაზიშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე უ. ობოლაძე.

კონფერენციამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის მ. ბუსკაძის ანგარიში და დაამტკიცა იგი.

გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ვ. ღოღობერიძე, აფხაზეთის ასსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ანცუკოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თავდაცვით-სპორტული და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე რ. პოპოვა, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი მ. იაშვილი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ახალციხის რაიკომის თავმჯდომარე ა. გელაშვილი, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროალაქანებელი ქარხნის, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე თ. ჭლიკაძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის სოფლის კომიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგე გ. მესხიძე.

კონფერენციაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ორმაგ ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV რესპუბლიკური კონფერენციისადმი.

საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, გენერალ-ლეიტენანტი ს. შატიროვი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე გენერალ-მაიორი ნ. სერგეევი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ვ. ჯანჯღავამ.

კონფერენციამ საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად და დაამტკიცა რესპუბლიკური კომიტეტის სარეგიონო კომისიის ანგარიში.

მიღებულია დადგენილება საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის ანგარიშის გამო.

კონფერენციის დელეგატებმა მასსალმებელი დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი, რესპუბლიკური კომიტეტის სარეგიონო კომისია და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების IV რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატებად.

საქართველოს ჟურნალისტები დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის

29 მარტს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პლენუმი, რომელშიც განიხილა საკითხი — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და საქართველოს ჟურნალისტთა ამოცანები“.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. მჭედლიშვილმა.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორი **ა. გურგენიძე,** ტყვარჩელის რაიონული გაზეთის „ტყვარჩელური გორნიაკის“ რედაქტორი **ვ. ერმოლაევი,** ლენინგორის რაიონული გაზეთის „ლენინის ალაფის“ რედაქტორი **ე. ხოცუაშვილი,** ძველი ბოლშევიკი **დ. ლომაძე,** გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქტორი **მ. გოლოვასტიკოვი,** რუსთავის საქალაქო გაზეთის „სოციალისტური რუსთავის“ რედაქტორი **გ. გელაშვილი,** გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი **მ. დავითაშვილი,** წყალტუბოს რაიონული გაზეთის „დროშის“ რედაქტორი **დ. გაბრიაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც აღინიშნულია, რომ საქართველოს ყველა ჟურნალისტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განახორციელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის მზადების შესახებ“. (საქდესი).

... ,, ... ,, ... ,,

ᲛᲝᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!
ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣ�წᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲑᲐᲜᲓᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲐᲪᲘᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲚᲘ:

1. **ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲫᲔᲡ** იაკობ ვარლამის-ძეს — რადიომაუწყებლობის ხმის რეჟისორს.
2. **ᲔᲕᲚᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სერგი სერგის-ძეს — ტელევიზიის მთავარ რეჟისორს.
3. **ᲙᲐᲪᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** გულნარა გიორგის ასულს — რადიომაუწყებლობის მთავარი რედაქტორის მოადგილეს.
4. **ᲙᲔᲠᲔᲡᲚᲔᲫᲔᲡ** გიორგი გიორგის-ძეს — ტელევიზიის რეჟისორს.
5. **ᲙᲘᲚᲐᲫᲔᲡ** ლიკა გრიგოლის-ძეს — კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორს.
6. **ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐᲡ** გურამ ვასილის-ძეს — ტელევიზიის მთავარ რეჟისორს.
7. **ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** შოთა ილიას-ძეს — ტელევიზიის მთავარ რეჟისორს.
8. **ᲥᲘᲨᲛᲨᲘᲕᲘᲡ** ლევან იოსების-ძეს — ტელევიზიის ხმის რეჟისორს.
9. **ᲚᲔᲛᲜᲐᲡ** ცაცრო ლევანის-ძეს — ტელევიზიის რეჟისორს.
10. **ᲧᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მერაბ დიმიტრის-ძეს — ტელევიზიის რეჟისორს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘ:

1. **ᲐᲡᲚᲐᲛᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ანეტა გიორგის ასულს — ტელევიზიის დიქტორს.
2. **ᲔᲐᲨᲣᲨᲐᲫᲔ** ეკატერინე დავითის ასულს — ტელევიზიის დიქტორს.
3. **ᲖᲔᲠᲭᲘᲠᲘᲡᲙᲘᲡ** დიმიტრი ანდრიას-ძეს — რადიომაუწყებლობის რედაქტორს.
4. **ᲙᲘᲙᲐᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** გაიოზ ალექსანდრეს-ძეს — კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.
5. **ᲚᲔᲕᲘᲐᲕᲘᲡ** თამარ სიმონის ასულს — რადიომაუწყებლობის დიქტორს.
6. **ᲚᲝᲛᲙᲐᲪᲘᲡ** მიხეილ ელადიმერის-ძეს — რადიომაუწყებლობის დიქტორს.
7. **ᲛᲐᲫᲐᲕᲠᲘᲐᲜᲘᲡ** ალექსანდრა გრიგოლის ასულს — ტელევიზიის დიქტორს.
8. **ᲛᲘᲥᲐᲫᲔᲡ** ლია შალვას ასულს — ტელევიზიის დიქტორს.
9. **ᲢᲐᲑᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ელენე მარონის ასულს — რადიომაუწყებლობის დიქტორს.
10. **ᲫᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ნინო გარეგინის ასულს — კომიტეტის კონცერტმეისტერს.
11. **ᲫᲝᲑᲣᲐᲡ** დავით იოსების-ძეს — ტელევიზიის დიქტორს.
12. **ᲧᲕᲐᲠᲐᲫᲔᲡ** ეთერ კონსტანტინეს ასულს — რადიომაუწყებლობის მომღერალ-სოლისტს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘ:

1. **ᲛᲝᲮᲪᲘᲠᲘᲫᲔᲡ** მარგარიტა ანტონის ასულს — რადიომაუწყებლობის ცელის უფროსს.
2. **ᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სერგი ისაკის-ძეს — რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექციის უფროსს.
3. **ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲐᲡ** ირინა ვალენტინის ასულს — რადიომაუწყებლობის ცელის უფროსს.
4. **ᲩᲘᲜᲘᲫᲔᲡ** ნინო ილიას ასულს — საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის გადაყოფილების უფროსის მოადგილეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲠᲘᲡ:

1. **ᲮᲜᲘᲜᲔᲚᲘᲡ** ნოდარ ერმილეს-ძეს — ტელევიზიის მხატვარს.
2. **ᲑᲣᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ირაკლი კრისტეფორეს-ძეს — ტელევიზიის მხატვარს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ᲙᲘᲠᲐᲕᲐᲫᲔ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1967 წლის 29 მარტი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣ�წᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲑᲐᲜᲓᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲒᲚᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

1. **ᲐᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲫᲔ** ნიკოლოზ ფილიპეს-ძე — რადიომაუწყებლობის მთავარი რედაქტორი.
2. **ᲐᲒᲐᲑᲐᲑᲝᲕᲐ** ლევან სედრაკის-ძე — საქართველოს რესპუბლიკური რადიოცენტრის უფროსი.
3. **ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ** შოთა ვასილის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
4. **ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ** მკრტიჩ სეროფის-ძე — რადიომაუწყებლობის უფროსი რედაქტორი.
5. **ᲐᲑᲔᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ** ელენე ალექსანდრეს ასული — ტელევიზიის მთავარი რედაქტორის მოადგილე.
6. **ᲑᲔᲯᲣᲝᲕᲐ** რაისა ელიოზის ასული — სამხრეთ-ოსეთის რადიომაუწყებლობის კომიტეტის მთავარი რედაქტორი.
7. **ᲒᲔᲠᲒᲔᲓᲘᲫᲔ** ნოდარ გრიგოლის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
8. **ᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მარიამ სიმონის ასული — რადიომაუწყებლობის უფროსი რედაქტორი.
9. **ᲓᲐᲰᲩᲘᲚᲐᲫᲔ** ნოდარ გრიგოლის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
10. **ᲖᲐᲰᲩᲘᲚᲐᲫᲔ** შოთა ვასილის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
11. **ᲒᲣᲚᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲐ** მამედ სეიფულის-ძე — რადიომაუწყებლობის უფროსი რედაქტორი.
12. **ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ** ფელიქს დომენტის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
13. **ᲓᲝᲛᲝᲠᲐᲪᲘᲐ** ევგენი ალექსანდრეს-ძე — რადიომაუწყებლობის უფროსი რედაქტორი.
14. **ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲔ** ბაბულია დიმიტრის ასული — რადიომაუწყებლობის ოპერატორი.
15. **ᲔᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ალექსანდრე სიმონის-ძე — რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექციის უფროსი ინჟინერი.
16. **ᲯᲐᲠᲓᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** მარიამ ვლადიმერის ასული — კომიტეტის მბეჭდავი მენაქონე.
17. **ᲗᲐᲚᲐᲛᲙᲐᲫᲔ** ოთარ ეკატეროფის-ძე — ტელევიზიის რეჟისორი.
18. **ᲗᲐᲜᲓᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** შალვა გიორგის-ძე — რადიოსადგურის ტექნიკური სახლის საამქროს უფროსი.
19. **ᲗᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** გივი ალექსანდრეს-ძე — რადიომაუწყებლობის უფროსი რედაქტორი.
20. **ᲗᲝᲓᲣᲐ** თამარ ალექსანდრეს ასული — აფხაზეთის რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.
21. **ᲙᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ელგუჯა გიორგის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
22. **ᲚᲐᲜᲓᲘᲐ** ქეთევან ალექსანდრეს ასული — რადიომაუწყებლობის დიქტორი.
23. **ᲚᲐᲤᲐᲠᲘᲐ** სოლომონ გიორგის-ძე — ტელევიზიის უფროსი რედაქტორი.
24. **ᲚᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ლიდია კონსტანტინეს ასული — ნოტების ბიბლიოთეკის გამგე.
25. **ᲛᲐᲜᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ვასილ კონსტანტინეს-ძე — ტელევიზიის ოპერატორი.
26. **ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ** თამარ დავითის ასული — რადიომაუწყებლობის ხმის რეჟისორი.
27. **ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ** ივლიტა იაკინთეს ასული — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ბ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲜᲘᲫᲔ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ზ. ᲙᲘᲠᲐᲕᲐᲫᲔ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1967 წლის 29 მარტი.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲒᲭᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 29 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს მუშაობას განაგრძობს საკავშირო პროფსაბჭოს XII პლენუმი. დილის სხდომაზე მოხსენება — „მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის საწარმოებში მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება“ — გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბ. ვ. პეტროვსკიმ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. თ. უსტინოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 29 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დღეს ხანმოკლე, მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, რათა აზრი გაუზიაროს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის საინტერესო საკითხებზე.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
30 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1967 წ.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 29 მარტი. (საკდესი). აქ გაიმართა კომუნიკე რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელიც 27 და 28 მარტს გაიმართა.

პლენუმმა განიხილა სახელმწიფო საოფლო მეურნეობათა ხელმძღვანელობის, დაგეგმვის, დაფინანსებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

განიხილეს აგრეთვე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები. პლენუმმა აღნიშნა ყოველწლიური განვითარება რუმინეთის ეკონომიური ურთიერთობისა სოციალისტურ ქვეყნებთან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპების საფუძველზე.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის ღონისძიებანი საზღვარგარეთის ქვეყნებთან რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების შესახებ.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობა ევროპის უმაშრეთის განსამტკიცებლად, აგრეთვე რუმინეთის კომპარტიის საქმიანობა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობისა და შეკავშირების განსამტკიცებლად მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

პლენუმმა მიიღო დადგენილება რუმინეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღღესასწაულობის შესახებ.

დასასრულ პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲜᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 28 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ნ. კუდრაშოვი გვაცნობებს:

„კეთილი მეზობლობისა და კულტურული თანამშრომლობისათვის“ — ამ სიტყვებით ეგებება დამთვალიერებლებს საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც აქ გაიხსნა. გამოფენა თურქეთის საზოგადოებრიობას აცნობს ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების თანამედროვე საბჭოთა ნაწარმოებებს.

გამოფენა, რომელიც მანამდე ანკარაში იყო ექსპონირებული, თურქეთის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს.

გამოფენა ორ კვირას გასტანს.

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲝ�გᲝᲢᲐ, 29 მარტი. (საკდესი). კოლუმბიის პრეზიდენტმა კარლოს ლეერასმ რესტრეპომ მიიღო საბჭოთა საგარეო სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფი.

საუბრის დროს განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობანი.

ლეერასს რესტრეპომ განაცხადა, რომ მის მთავრობას სურს გაფართოოს საავაჭრო და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. სულ მალე, ხაზი გაუსვა მან, სსრ კავშირში გამოვაგზავნით კოლუმბიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაციას, რათა მოლაპარაკება აწარმოონ ეკონომიის, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ ახალ, უფრო ფართო შეთანხმებათა დასადებად.

პრეზიდენტმა საბჭოთა დელეგატებს სთხოვა საბჭოთა ხალხსა და სსრ კავშირის მთავრობას გადასცენ, რომ იგი გულწრფელად აღფრთოვანებულია მათი დიადი საქმეებით.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲜᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲨᲘ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 28 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ნ. კუდრაშოვი გვაცნობებს:

„კეთილი მეზობლობისა და კულტურული თანამშრომლობისათვის“ — ამ სიტყვებით ეგებება დამთვალიერებლებს საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც აქ გაიხსნა. გამოფენა თურქეთის საზოგადოებრიობას აცნობს ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების თანამედროვე საბჭოთა ნაწარმოებებს.

გამოფენა, რომელიც მანამდე ანკარაში იყო ექსპონირებული, თურქეთის საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს.

გამოფენა ორ კვირას გასტანს.

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ

ᲑᲝ�გᲝᲢᲐ, 29 მარტი. (საკდესი). კოლუმბიის პრეზიდენტმა კარლოს ლეერასმ რესტრეპომ მიიღო საბჭოთა საგარეო სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჯგუფი.

საუბრის დროს განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობანი.

ლეერასს რესტრეპომ განაცხადა, რომ მის მთავრობას სურს გაფართოოს საავაჭრო და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. სულ მალე, ხაზი გაუსვა მან, სსრ კავშირში გამოვაგზავნით კოლუმბიის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაციას, რათა მოლაპარაკება აწარმოონ ეკონომიის, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ ახალ, უფრო ფართო შეთანხმებათა დასადებად.

პრეზიდენტმა საბჭოთა დელეგატებს სთხოვა საბჭოთა ხალხსა და სსრ კავშირის მთავრობას გადასცენ, რომ იგი გულწრფელად აღფრთოვანებულია მათი დიადი საქმეებით.

ᲐᲖᲘᲐ-ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 28 მარტი. საკდესის კორესპონდენტები Ჯ. ეგოროვი და ი. სტეპანოვი გვაცნობებენ:

ამჟამად აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მე-3 კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს კომისიებში. კომისიები ამუშავებენ დოკუმენტებს, რომლებიც შეაჯამებენ ორი კონტინენტის კულტურის მოწინავე მოღვაწეთა ამ წარმომადგენლობითი ფორუმის მუშაობის შედეგებს და ჩამოაყალიბებენ მწერალთა მოძრაობის ამოცანებს.

პირველი კომისია, რომელსაც მეთაურობს ცნობილი ეგვიპტელი მწერალი ამმედ ბახა ედ-დინი, განიხილავს ერთობლივი დეკლარაციისა და კონფერენციის სხვა დოკუმენტების ძირითად დებულებებს. ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სუბ-საჰარული აფრიკის, ინდოეთის, იაპონიის, სუდანის, მაროკოს, სომალის მწერლები.

მეორე კომისია, რომელსაც მეთაურობს სამხრეთფრიკელი მწერალი მაზის კენინი, ამუშავებს რეზოლუციას აზია-აფრიკის ხალხთა კულტურასა და ხელოვნებაზე იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ კომისიის შემადგენლობაში არიან სამხრეთ აფრიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ლიბანის, სსრ კავშირისა და ინდოეთის მწერლები. საბჭოთა დელეგატებმა შეიტანეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომლებსაც მხარი დაუჭირეს კომისიის სხვა წევრებმა.

მესამე კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს გამოჩენილი ინდოელი მწერალი საჯად ზაჰირი, განიხილავს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ორგანიზაციის წესდებას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენენ ბეირუთის კონფერენციის მონაწილეებს. ამ კომისიაში არიან ინდოეთის, ალჟირის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ანგოლის, საბჭოთა კავშირის, დაგომეის, ნიგერიის, სირიისა და იაპონიის წარმომადგენლები. კომისია ამუშავებს აგრეთვე წინადადებებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ტაშკენტისა და კაიროს შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებანი.

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ, 29 მარტი. (საკდესი). აზია-აფრიკის ქვეყნების მწერალთა ბეირუთის კონფერენციაში მონაწილე საბჭოთა მწერლებსა და პოეტებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ სხვა ქვეყნების მწერალთა დელეგაციებთან.

გულითადი, ამაღელვებელი იყო საბჭოთა ლიტერატორების შეხვედრა მებრძოლი ვიეტნამის მწერლებთან. საბჭოთა მწერლებს მეგობრული შეხვედრები ჰქონდათ აგრეთვე ლიბანის, ინდოეთის, ნეპალის, ცეილონის, იაპონიისა და აზია-აფრიკის სხვა ქვეყნების კულტურის მოღვაწეებთან. საბჭოთა მწერლები გაეცვნენ თავიანთი კოლეგების შემოქმედებითს საქმიანობას, ახალ ტენდენციებს ამ ქვეყნების ლიტერატურაში. გაიმართა ამხანაგური აზრის გაზიარება მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. ორი კონტინენტის მწერალთა მოძრაობის საერობროტო პრობლემებზე.

საბჭოთა მწერლებს გულითადად ხვდებიან ლიბანის ინტელიგენციისა და დედაქალაქის საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლები. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა დელეგატებს უყვარან განსაკუთრებით გულთბილად და გულწრფელად ხვდებიან.

გუშინ გაიმართა პოეტ ევგენი ევტუშენკოს შემოქმედებითი საღამო, რომელიც მოაწყო ლიბანის ლიტერატურულმა ჟურნალმა „ალ-ადაბმა“. სასტუმრო „ბეირუთ ინტერნეშენელის“ უზარმაზარი კონფერენც-დარბაზი, სადაც ლექსებს კითხულობდა ევტუშენკო, საბჭოთა პოეზიის თაყვანისმცემლებით იყო გატენილი. საბჭოთა პოეტის მოსასმენად მოვიდნენ კონფერენციის დელეგატები, ლიბანის ინტელიგენციის წარმომადგენლები, გამოჩენილი ლიბანელი პოეტები, მწერლები, ლიტერატურული კრიტიკოსები და ჟურნალისტები.

ᲙᲣᲗᲘᲗᲘ. კუთვნილებში დიდი მოთხოვნილებაა რუსი და საბჭოთა მწერლების წიგნებზე. სურათზე: ელ-კუთვნილი ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებაში. ფოტო რ. მოიხეევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲝ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲖᲐᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 28 მარტი. (საკდესი): ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირითადი ბაზა იაპონიაშია, განაცხადა დღეს პარლამენტში სოციალისტმა დეპუტატმა კოძო ინომატამ.

როცა დღეს ინომატამ პარლამენტის ქვედა პალატის საბიუჯეტო კომისიაში შეიტანა შეკითხვა მთავრობისადმი, განაცხადა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირითადი ბაზა ბონიდან ტოკიოში გადმოიტანეს. დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა ამ ჯაშუშური ორგანიზაციის საქმიანობის საშიში ხასიათი, რომელიც „არა მარტო ინფორმაციას აგროვებს, არამედ ყოველგვარ ძირგამომთხრელ საქმიანობასაც ეწევა“. კერძოდ, მან თქვა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ცდილა მოესყიდა სინგაპურის პრემიერ-მინისტრი ლი კან იუ, რომელიც ამას წინათ იყო იაპონიაში.

როგორც კიოდოს სააგენტო იუწყება, ინომატამ ჰკითხა მთავრობას ამირებს თუ არა შექმნას სპეციალური ორგანო, რომელმაც უნდა გამოიძიოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობა იაპონიაში.

მთავრობის წარმომადგენლებმა სოციალისტი დეპუტატის შეკითხვებს ერთობ ფრთხილად უპასუხეს, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ გამომძიებლებმა საქმიანობისა, რომელსაც ეს ჯაშუშური ორგანიზაცია ეწევა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ყველა კითხვაზე ისინი უპასუხებდნენ, რომ დრეკ მთავრობას, არც მის რომელიმე ორგანოს არა აქვთ რაიმე კონტაქტი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა ფუკუნაგამ აღიარა, რომ „შესაძლებელია ინფორმაციის გაცვლა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან ხდებოდეს იაპონის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით“. მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა მიკიმ აქვე უარყო ეს განცხადება და აღნიშნა „რამდენადაც ვიცი, იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციას არ უცვლისო“.

ᲡᲐᲒᲖᲐᲝ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 29 მარტი. (საკდესი). ინგლისისათვის მარცხით მთავრდება ყოველი დღესასწაული, როდესაც ხშირდება მოძრაობა ქალაქგარე გზებზე და ბევრი მძღოლი მანქანას მთვრალი მართავს. აღდგომის სამი დღის მანძილზე ინგლისის გზებზე დაიღუპა 96 მძღოლი და მგზავრი, 292 კაცი მძიმედ, ხოლო 927 კაცი მსუბუქად დაშავდა. ტრანსპორტის მინისტრმა ბარბარა კასლმა დღესასწაულის დამთავრებას „ტრაგიკული და საგალობელი“ უწოდა.

ᲚᲔᲥᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲘᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲠᲐᲒᲐᲚᲐᲜᲓᲘᲜᲓᲘ, 28 მარტი. (საკდესი). წინასწარი მონაცემების მიხედვით, ქალაქ პეშავარის რაიონში (დასავლეთი პაკისტანი) კოკისპირული წვიმების შედეგად, რაც განუწყვეტლივ ორ დღე-ღამეს გრძელდებოდა, დაზიანდა 7.000-ზე მეტი სახლი და დაახლოებით 2.000 მთლიანად დაინგრა. დაიღუპა 9 კაცი, აგრეთვე დიდძალი პირუტყვი.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 29 მარტი. (საკდესი). ქარიშხალი, ელჭექი, წვიმა და სეტყვა, რაც მთელი კვირის განმავლობაში ბობოქრობდა ჩრდილოეთ ინდოეთში, ახლა თავს დაატყვა ცენტრალურ რაიონებს.

განსაკუთრებით დაზარალდა რაჯასტანის შტატი, სადაც

საქართველოს დღეები მოქმე რესპუბლიკებში

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ მომზე რესპუბლიკებში გაგზავნა მეცნიერთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციებისა და საუბრების მოსაწყობად.

თბილისელი მეცნიერები რამდენიმე დღის განმავლობაში ბელორუსიის დედაქალაქ რიგაში. რიგელებს ესტუმრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნ. ლომოური, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნ. იაშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. ჯამბერიძე. ლატვიის სსრ საზოგადოება „ცოდნის“ შენობაში მოეწყო საქართველოს შესახებ რუსულ და ლატვიურ ენებზე გამოცემული წიგნების გამოფენა-გაყიდვა. იყიდებოდა გრამფირფიტები ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა ჩანაწერებით. ჩვენი რესპუბლიკის შესახებ ფილმების გახილვის წინ ლატვიის სსრ სახალხო არტისტმა ს. ვასილიევმა წაიკითხა ლექსი საქართველოს შესახებ, ხოლო ლატვიის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტმა რ. ზალმანემ შეასრულა კომპოზიტორ რ. ლაღიძის სიმღერები. სტუმრებმა რიგელებს უამბეს საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ.

რიგის მშრომელთა სახელით გამოვიდა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ი. გილერი, რომელმაც ილაპარაკა რიგელთა და თბილისელთა მეგობრობაზე, ლატვიელი და ქართველი ხალხების ძმობაზე. (საქდესი).

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ადამიანი სახელს თავის სამშობლო კუთხეში ისვამს, მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება... მამა-პაპათა მიწა-წყალზე შორიდან შემოანათებს მამულიშვილის ნათელი შუქი.

სწორედ ამ შუქმა აგვიყოლია და მოსკოვში ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალურ ინსტიტუტში მიგვიყვანა თბილისის ტელევიზიის ოპერატორი ოთარ ტატალაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

— დაგაგვიანდათ, პროფესორი ოთარ ღუდუშაური კონფერენციის სხდომას ესწრება, — „მოგვახარა“ თეთრხალათიანმა ქალმა.

მოსკოვური ზამორის იმ სუსხიან დღეს ჩვენი ტელეოპერატორი დილიდანვე ისედაც უბუნებოდ იყო და ახლა არც მე დავდექი უკეთეს ხასიათზე.

— როდის განთავისუფლდება პროფესორი ღუდუშაური? — მომბრუნდა ვიღაც მოხუცი ქალი, მოკრა თუ არა ყური ექიმის გვარს.

—ამბობენ, ნახევარ საათშიო. თქვენ რა გნებავდათ? — ახლა მე დავინტერესდი.

— აი, შვილიშვილმა ფეხი მოიტეხა...

თექვსმეტიოდე წლის გოგონა ყავარჯნებს იმარჯვებდა. ცალი ფეხი ყოჩის სახსარში თაბაშირში ჰქონდა ჩასმული. ციხფერ თვალებს ახლაც კი მოუსვენრად აცეცებდა.

— ოო, ცელქია, ძალიან ცელქი გოგოა. აი, დღესაც, ექიმს სულაც არ უნდა ენახა, ამან კი აიჩემა, ღუდუშაურთან წამიყვანეთო... რა მოვუყვერხო, აღარ ვიცი, — თავს აქნევდა ბებია.

ამასობაში გვითხრეს — კონფერენციაზე შესვენება გამოცხადდაო და ჩვენ სასწრაფოდ ავიტანეთ კინოფოტოკამერები მე-4 განყოფილებაში.

მაღალი, ლაზათიანი ვაჟკაცი შეგვიძღვა კაბინეტში. კინაღამ წამომცდა, პროფესორი სად არის-მეთქი. კიდევ კარგი „შეიარაღებული“ ოპერატორის დანახვისთანავე მასპინძელმა მორიდებულად ჩაილაპარაკა:

— რა საჭიროა ყველაფერი ეს?!

შემდეგ თავაზიანად მოიხადა ბოდიში — ოციოდე წუთზე მეტს ვერ დაგითმობთო.

ტელეოპერატორმა კინოკამერა მოიმარჯვა, მე — ბლოკნოტი...

ოთარ ნასყიდას-ძე ღუდუშაური დაიბადა 1925 წელს სოფელ ყაზბეგში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ხოლო 1949 წელს — სამედიცინო ინსტიტუტი ქ. ორჯონიკიძეში.

...სამი წელი ჩრდილოეთ ოსეთში იმუშავა. იქვე გააკეთა პირველი ოპერაცია. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და, აი, უკვე თხუთმეტი წელიწადია მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს.

1957 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1964 წელს — სადოქტორო.

— ამჟამად „ციტოში“ განაგებს მე-4 განყოფილებას. ჩვენი განყოფილება ასწორებს არასწორი მკურნალობის შედეგებს. აი, სულ ეს არის, — ჩუმდება ახალგაზრდა პროფესორი.

ჰმ, ადვილი სათქმელია — ასწორებს არასწორი მკურნალობის შედეგებს! წარმოიდგინეთ ჯერ ერთი ოპერაცია ადამიანის ძვალზე და... შემდეგ (რას იზამ, ზოგჯერ ექიმიც ცდება...) იმ ოპერაციის შედეგად გამოწვეული გაუარესების გამოსწორება ახალი ოპერაციით... ზოგჯერ პროფესორ ო. ღუდუშაურთან მიჰყავთ პაციენტი, რომელსაც ორჯერ და სამჯერაც კი არასწორად გაუკეთეს ოპერაცია და აი ავადმყოფის უკანასკნელი იმედი, — თუ გნებავთ, უკანასკნელი რისკი — პროფესორი ო. ღუდუშაური! და როგორც წესი, ო. ღუდუშაურის ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის სახეს ცილდება ნაღველი.

...ანდა, რა უბრალოდ ჩაილაპარაკა — აი, სულ ეს არის! მე ძალიან კარგად ვიცი, რომ „სულ ეს არის“ იმის მეასედიც კი არ არის, რასაც

რაზომ გინდა საქებარი...

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

პროფესორი ო. ღუდუშაური აკეთებს...

ისე კი, ბოლოს და ბოლოს, მართლაც ამაზე ღირსეული, ამაზე ძვირფასი რა უნდა გააკეთოს ადამიანმა! ჯანდაბას ბედოვლათების თავი, ოპერაციის დროს ოთარ ღუდუშაური ვიღაცის შეცდომების გამოსწორებაზე არა ფიქრობს, მკურნალს ავადმყოფი მინდობია და მისი განკურნებაა ექიმის საზრუნავი!

ოთარ ღუდუშაური სიტყვაძუნწობს, მე კი ვცდილობ კიდევ ვთქმევინო რაიმე, არ ვუშვები. არა ერთი და ორი პაციენტისაგან გამიგონია — ღუდუშაურს ოქროს ხელები აქვსო, მეუბრ ხულება ამის პირში თქმა და თვალი მკურნალის ხელებისაკენ მეპარება. ხელები კი ჩვეულებრივი, [illegible], ვაჟკაცური აქვს.

მრავალი სიახლის ავტორია ოთარი, მაგრამ ჩვენთან საუბრისას ძლივსძლივობით ერთი მთგანი აღნიშნა...

მსოფლიო მედიცინის პრაქტიკაში პირველად ამ ქართველმა ექიმმა წარმატებით გააკეთა ოპერაცია და მოხერხა ბარძაყის სახსრის გადანერგვა კონსერვირებული ძვლისაგან. უკვე მვიდი ასეთი ოპერაცია გააკეთა პროფესორმა ო. ღუდუშაურმა და ყველა წარმატებით დაგვირგვინდა.

— სულ რამდენი ოპერაცია გაგიკეთებიათ?

ისევ ეღიმება გულღია, ალალი კაცის ღიმილით და მხრებს იჩეჩავს.

რომ აღარ ვაძლევ საშველს, ამბობს:

— არ ვიცი, საერთოდ არ ვითვლი, დაახლოებითაც... ალბათ ორი ათასი მაინც იქნება.

— იქნებ მეტი?

— შეიძლება.

პროფესორ ოთარ ღუდუშაურს სისტემატურად იწვევენ უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციებზე, გამოცდილების გასაზიარებლად. 1961 წლიდან მოყოლებული იგი მიწვეული იყო ბულგარეთში (ორჯერ), საფრანგეთში (ორთობედთა და ტრავმატოლოგთა მსოფლიო კონგრესზე), გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში...

ახალგაზრდა პროფესორი უკვე ორმოცდაათამდე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორია!..

მერე ოჯახზე ვეკითხები, სადღაა წეღანდელი სიტყვაძუნწი მასპინძელი.

— მეუღლეს ციალა ქვია, ისიც მოხვეა, — ისე მიპასუხებს ოთარ ღუდუშაური, თითქოს რამდენიმე წლის სიცოცხლე მოეშატაო, — ციალა მეცნიერი მუშაკია, მოსკოვის იშვიათ მეტალთა საკვლევ ინსტიტუტში მუშაობს. მყავს ორი ქალიშვილი: მარინე — 13 წლისა და მანანა 4 წლის. წელიწადში ერთხელ მაინც თბილისში ვარ. ხვეში კი აუცილებლად თუნდაც ერთი კვირით ავდივარ. ბავშვებს ხომ ყოველ ზაფხულს იქ ვეზაანი...

დრო იწურება. მინდა კიდევ ვკითხო რაიმე ახალგაზრდა პროფესორს, კიდევ რაიმე მნიშვნელოვანს მინდა მოვკრა ყური... თვალი ხაწერ მაგიდას შევავლე, მაგიდაზე მინის ქვეშ რუსთაველის პორტრეტი აქვს ამოდებული, მის გვერდით ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის ფოტო!..

...ნახევარი საათი საოცრად სწრაფად გაგიდა. მიუხედავად რამდენიმე წუთის საუბრისა, მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ 41 წლისაა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი პროფესორი გახლავთ, და მიუხედავად იმისა, რომ მე მთელი 13 წლით უმცროსი ვარ ამ ადამიანზე, ოთარ ღუდუშაურს ძველი ბავშვობის მეგობარივით ვმორლები.

მთელი გულით მინდა ვუსურვო, რომ ეს აქიმი, ჭეშმარიტად რაზომ გინდა საქებარი, არაოდეს დასვეულებულიყოს, იღვწოდეს, იმარჯვებდეს და ხარობდეს მრავალჟამიერ!..

როცა თეთრი ხალათები მეგარდერობეს ჩავბარეთ და შენობას ვტოვებდით, ის ციხფერთვალება ყავარჯნებიანი გოგონა იქვე დგებოდა.

— რა გინდოდათ თქვენ პროფესორ ღუდუშაურთან? — მოგვასალა ბავშვური უშუალობით.

ჩვენ ავუხსენით, რაც გვინდოდა.

გოგონამ კი სხაპასხუპით მოგვაყარა:

— მე გალინა მქვია, ჯვარად ფირსოვა ვარ, მეცხრე კლასში ვსწავლობ. ოპერაცია ოთარ ნასყიდას-ძემ გამიკეთა. იცით, რა კარგი კაცია! ახლა თაბაშირი ფეხს მტკენს, მაგრამ პროფესორი მეუბნება — ეს კარგია, მაღალ, სულ მოგარჩენა ფეხიო. მე მჯერა, იმიტომ რომ ოთარ ნასყიდას-ძე ყველას არჩენს!..

გალინას პირდაპირ ვეღარ ვაჩერებთ, ცალკე ბებიამისი ვეეჭიფჩიფება და ლოცავს ოთარ ღუდუშაურს.

— გოგონა, შენ იცი, სადაურია ღუდუშაური? — ვეკითხები, იქნებ როგორმე გავაჩერო.

— რასაკვირველია, ვიცი, ქართველია! — ნათელი თვალები უბრწყინდება რუს გოგონას.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: პროფ. ო. ღუდუშაური.

მეგობრის ხსოვნას

ᲛᲔᲠᲒᲕᲜᲬᲚᲘ ᲒᲘᲒᲚᲘᲗᲔᲙᲐ

ᲯᲔᲠ კიდევ ამ რამდენიმე დღის წინათ ის ჩვენს გვერდით იყო, სავსებით ჯანმრთელი და ენერგიით აღსავსე. ავადმყოფობაზე მიუ ჩვენი არავის გაუგონია, უკუნებოდაც კი არასოდეს გვინ[illegible] რედაქციის დერეფნებში დ[illegible] და მხნე ნაბიჯებით, ხან ერთ განყოფილებაში შეგიდოდა, ხან მეორეში, ეთათბირებოდა, უთანხმდებოდა ამხანაგებს...

და აი მოულოდნელად ჩვენს რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი ჟურნალისტი, სამაგალითო მოქალაქე, ალალმართალი, უაღრესად გულისხმიერი და მოსიყვარულე მეგობარი და ამხანაგი. ახეთი ახლოს იგი ყველას, ვისაც მის გვერდით უცხოვრია და უმუშავნია.

შრომითი ხელმიანობა მან პედაგოგიური მოღვაწეობით დაიწყო. 19 წლის ჭაბუკი იყო, პირველად რომ მივიდა სკოლაში. ხულ ორიოდე წელი იმუშავა ონის რაიონის ფარახეთის არასრულ ხაშუალო სკოლაში, ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დირექტორად, მაგრამ იმათ, ვინც 1934-1935 წლებში ამ სკოლაში სწავლობდა, შეუძლებელია სიყვარულით არ მოიგონონ თავიანთი მასწავლებელი.

თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი სიმონ ქოჩლაძემ საგაზეთო მუშაობას შეალია. იგი სარედაქციო მუშაობის შესანიშნავი მცოდნე იყო. თითქმის ოცდაათი წელი იმუშავა გაზეთების რედაქციებში. 1938 წლის თებერვის რაიონულ გაზეთ „კომუნისტის ხმაში“ ლიტერატურულ მუშაკად დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი ამ გაზეთის რედაქტორი გახდა. 1949 წლიდან სიკვდილამდე სიმონ ქოჩლაძე გაზეთ „კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტი იყო.

ს. ქოჩლაძეს ჰქონდა ჟურნალისტის მახვილი თვალი და, როგორც იტყვიან, კალამი უჭრიდა. იგი ღრმად და საფუძვლიანად ერკვეოდა იმ საკითხებში, რაზეც წერდა. ამიტომ იყო, რომ მისი კორესპონდენციები, წერილები, ნარკვევები, რეპორტაჟები გამოირჩეოდა აზრის ხინათლით, ხიმახვილით, პრობლემატურობით.

მეგობრებისათვის მუდამ უღალატო გულმა უმუხთლა, მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, და ვინ იცის რამდენი ოცნება, ფიქრი და ზრუნვა წაიღო თან... ყოველ გაზაფხულზე, როცა ვაზი პირველ კვირტებს გამოაჩენდა, როცა მცხუნვარე მზე მთებშიც დაადნობდა თოვლს, სიმონი სამიოდე დღის შვებულებას აიღებდა და რაჭაში, ონის რაიონის პატარა სოფელ ხირხონისში მიეშურებოდა მოხუცი დედისა და მშობლიური კერის მოსანახულებლად. ამ გაზაფხულზე მოხუცი დედა თვითონ უნდა ჩამოვიდეს შვილის სანახავად და უკანასკნელად გაიცალოს სამუდამო გზაზე.

წავიდა ჩვენგან და უდროოდ დაგვკლდა თვალში სიმონ ქოჩლაძის ნათელი სახე. მაგრამ მის მეგობრებსა და ამხანაგებს გულში არასოდეს არ გაგვინელდება ის სითბო და სიყვარული, მან რომ დაგვიტოვა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲐᲛᲣ-ᲓᲐᲠᲘᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

ᲒᲐᲛᲠᲔᲪᲮᲘ რწყვის დროს საგანგაშო ზარი გაისმა ამუ-დარიის საირიგაციო არხების სადისპეტჩერო სამმართველოში. სამეთვალყურეო საგუშაგო იუწყებოდა: ამუ-დარიამ კალაპოტი იცვალა, დაშორდა არხ „ოქტომბრის“ სათავე ნაგებობას. ჰიდრომექანიზატორებმა სწრაფად გაამზადეს მიწასაწოვები.

მაგრამ ამუ-დარიას უკვე მრავალწლიანი კილომეტრნახევრით დაშორებოდა წყალსაღებ კვანძს. დაიწყო გამოდევნება. ამუშავდნენ მიწასაწოვები. მათ გათავხედებულ კალაპოტში დაიწყეს ღრმა თხრილების გაყვანა.

რამდენიმე დაძაბული დღე და ღამე ღამე დასჭირდათ, რომ მდინარე „შინ“ დაებრუნებინათ და აღედგინათ მიწების რწყვა ხორეზმის გორლენისა და ურგენჩის რაიონებში. 29 მარტს ამუ-დარიის წყალი კვლავ დაიძრა მინდვრებისაკენ, იუწყება საკდესის კორესპონდენტი.

დიახ, ჭირვეულია ამუ-დარია. მუდამ ფხიზლად უნდა იყო, რომ გეზი არ იცვალოს. რა წუთშიც უნდა გაისმას ზარი, ღამე იქნება თუ დღე, ჰიდრომექანიზატორები ყოველთვის მზად არიან.

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲐᲙᲝᲠᲓᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონატს შაიბიან ჰოკეიში გუშინ ფინეთში ჰქონდა. გუშინდელი ორი შეხვედრა ჩემპიონატის უკანასკნელი აკორდი იყო. ამ მატჩებს უნდა გადაეწყვიტა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების საკითხი, მეორე ოთხეული კი სატურნირო ცხრილში წინადღით განლაგდა.

კანადისა და შვეიცის გუნდების მატჩში წარმატებას კანადელებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით. სჩანს კანადელებმა საბჭოთა ჰოკეისტებთან დამარცხების შემდეგ ხელი ჩაიქნიეს, შვედები კი მოქმედებდნენ ინიციატივიანად, შემტევ სტილში და გაიმარჯვეს 6:0.

ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი მსოფლიოს ჩემპიონს — სსრ კავშირის გუნდსა და ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტებს ჰქონდათ. ინგარიში ჩეხოსლოვაკიელებმა გახსნეს, მაგრამ საბჭოთა ჰოკეისტებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლის ავტორი იყო ზაიცევი. მეორე პერიოდში პოლუპანოვმა თავის გუნდი წინ გაიყვანა — 2:1. მესამე პერიოდში ჩემპიონი ინარჩუნებდა უპირატესობას და გაიმარჯვა 4:2.

ამრიგად, სსრ კავშირის ჰოკეისტებმა ჩემპიონატი არა მარტო დაუმარცხებლად, არამედ ქულის დაუკარგავადაც დაამთავრეს. მათ თოთხმეტი შესაძლებლიდან 14 ქულა შეაგროვეს შაიბების ჩაგდებული სხვაობით 58-9.

ვერცხლის პრიზიორები გახდნენ შვედები, ბრინჯაოსი — კანადელები.

ᲕᲐᲥᲕᲔᲣᲜᲔᲑᲗ ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	მ.	ფ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	7	0	0	58- 9	14
შვეიცია	4	1	2	31-22	9
კანადა	4	1	2	28-15	9
ჩეხოსლოვაკია	3	2	2	29-18	8
აშშ	3	1	3	20-23	7
ფინეთი	2	1	4	14-24	5
გდრ	1	1	5	14-38	3
გფრ	0	1	6	11-56	1

ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲣᲠᲔᲑᲘ

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ საფეხბურთო სეზონი მრავალმხრივი და მეტად დატვირთული იქნება. იგი მოიცავს არა მარტო საკავშირო ჩემპიონატსა და სსრ კავშირის თასის გათამაშებას უმაღლესი ლიგის კოლექტივებისათვის, არამედ საბჭოთა ნაკრების შესარჩევ მატჩებს ევროპის პირველობაზე. აგრეთვე ოლიმპიური გუნდის მზადების და მრავალ საერთაშორისო შეხვედრებს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და ტრადიციულ ასპარეზობას — საკავშირო ჩემპიონატს სტარტი 2 აპრილს მიეცემა. ეს იქნება რიგითი XXIX პირველობა.

და მაინც ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ნაკრების გამოსვლას ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში. ამ შეხვედრებისათვის მზადების პირველი ეტაპი უკვე გავლილია. სსრ კავშირის ნაკრები შეკრებაზე იყო იუგოსლავიაში, ამის შემდეგ იტალიას ეწვია და აქ სამი საოხუნჯო ოდენ მატჩი გამართა. მაგრამ გუნდი ჯერ კიდევ როდია საბოლოოდ დაკომპლექტებული. ჩემპიონატის პირველ სამ ტურში ნაკრების მწვრთნელები **მ. იაკუშინი** და **ვ. ცარიოვი** კიდევ შეარჩევენ და დაკომპლექტებენ გუნდს.

პირველ საერთაშორისო მატჩს სსრ კავშირის ნაკრები გამართავს 10 მაისს გლაზგოში შოტლანდიის გუნდთან. ივნისის პირველ რიცხვებში საბჭოთა ფეხბურთელები პარიზში შეხვდებიან საფრანგეთის ნაკრებს, ხოლო 11 ივნისიდან ჩაებმებიან ევროპის პირველობისათვის ბრძოლაში.

ამ დღეს ლუქენბურგში ჩვენი ფეხბურთელების მეტოქე იქნება ავსტრიის გუნდი. 20 ივნისს კი საბჭოთა გუნდი ჰელსინკში გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს ფინეთის ფეხბურთისა და ჰოკეის 50 წლისთავის აღსანიშნავ მატჩში სკანდინავიის ნაკრებთან.

გარდა ევროპის ჩემპიონატის მატჩებისა, საბჭოთა ნაკრებს საერთაშორისო შეხვედრები ექნება მაროკოს, იუგოსლავიის, შვეიცარიის, ბულგარეთისა და საფრანგეთის გუნდებთან.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ ᲑᲐᲠᲓᲐ იმ რვა უძლიერესი კოლექტივისა, რომლებიც ჯენის მსოფლიო ჩემპიონატში იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისათვის, შეჯიბრება მიმდინარეობდა კიდევ ორ ჯგუფში. ერთ-ერთ მთგანში — მესამე ჯგუფში ასპარეზობა 28 მარტს დამთავრდა. იაპონელმა ჰოკეისტებმა უკანასკნელ მატჩში ჰოლანდიელებთან გაიმარჯვეს სარეკორდო ანგარიშით 20:2 და პირველი ადგილი დაიკავეს. ოთხი თამაშიდან იაპონელებმა ოთხივე ვიიგეს და უახლოეს მეტოქეებს ოთხი ქულით გაუსწრეს. მომავალ წელს ისინი მეორე ჯგუფში ითამაშებენ.

△ **ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲕᲘ** გამოგზავრების წინ სსრ კავშირის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, რომელიც ირანში იმყოფებოდა, ქ. ბაბოლში შეხვდა მაზანდერანის პროვინციის მოჭიდავეებს. სახპორტო დარბაზი სავსე იყო მაყურებლებით. საბჭოთა მოჭიდავეები აღმავლობით იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5,5:1,5.

△ **ᲛᲘᲜᲡᲙᲘ** „დინამომ“ დაამთავრა შეკრება გაგრაში. გზად დინამოელები შეჩერდნენ გროზნოში და აქ გამართეს ამხანაგური მატჩი „თერგის“ ფეხბურთელებთან. ფეხბურთელებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

△ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი ჭადრაკში. გამოვლინდნენ უძლიერესები წინასწარ ჯგუფებში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფინალში. ეს ასპარეზობა 14 მოჭადრაკის მონაწილეობით ქუთაისში გაიმართება.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲝᲯᲐᲮᲡ!

ᲬᲚᲝᲒᲘᲡᲛᲣᲕᲐᲠᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ

ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ მარცხენა მხარეს მოძრაობა უკეთესია უსაფრთხობის თვალსაზრისით, ვიდრე ქუჩის მარჯვენა მხარეს მოძრაობა. ახეთი დასკვნა გამოიტანა მოძრაობის უსაფრთხობის საკითხთა ინგლისელმა სპეციალისტმა ი. ლომინგმა. მან საგულდაგულოდ გამოიკვლია სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი საგზაო კატასტროფების სტატისტიკა. გამოირკვა, რომ ერთნაირ სხვა პირობებში გზებზე მომხდარი ავარიების რიცხვი ისეთ „მარცხენა მხარის“ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი, ირლანდია, შვეცია, ახალი ზელანდია ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე „მარჯვენა მხარის“ ქვეყნებში.

ინგლისში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დავას მარცხენა თუ მარჯვენა მხარის მოძრაობის შესახებ. ამ თავისებურების გამო, ინგლისს დიდი ზარალი აქვს ტურიზმის, საექსპორტო ავტომობილმშენებლობის დარგში და საგარეო ურთიერთობის სხვა სფეროებში.

ამ ბოლო დროს ინგლისში სულ უფრო დაინებით მოითხოვენ მოძრაობის წესების შეცვლას. მიუხედავად ამისა, ი. ლომინგი მოუწოდებს მთავრობას, არ განახორციელოს ეს. მისი რწმენით, შვეცია, სადაც გადაწყვეტეს მიმდინარე წლის სექტემბრიდან გადავიდნენ მარჯვენა მხარის მოძრაობაზე, ახეთი ღონისძიების მავნეობის საკალაო მაგალითი გახდება. ლომინგი ამტკიცებს, რომ შვეციაში საგზაო კატასტროფების რიცხვი სულ ცოტა ერთიორად გაიზრდება.

Ო. ᲙᲘᲒᲝᲕᲐᲠᲝᲕᲘ,
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.

„ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ“ № 2

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ „ჟურნალისტის“ მეორე ნომერი. ჟურნალი იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გაზეთების სექტორის გამგის ვ. ი. ვლასოვის სტატიით, პრესის მუშაკის პასუხისმგებლობის, გულმართლობისა და პრინციპულობის შესახებ.

ამ ნომერში მკითხველი მიწვეულია მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში მუშა და სოფლის კორესპონდენტთა შესახებ. ჟურნალი ბეჭდავს საუბარს მწერალ ალექსანდრე ბეკთან, ლეონიდ ლიხოდეევის ნარკვევს, მიმოხილვებს, ფელეტონებს, გამოკვლევებს საზღვარგარეთის პრესის შესახებ. ნომერი ილუსტრირებულია საბჭოთა ფოტოოსტატების სურათებით, საფრანგეთის ერთ-ერთი დიდი ფოტომხატვრის კარტიე ბრისონის ნამუშევრებით.

ᲚᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲘᲜ ᲖᲐᲠᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘᲡ 17 ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონის ხოფელ ხაჯიჯაოში ვინ არ იცნობს ლოლა და რამინ ზარანდიების მრავალრიცხოვან ოჯახს. ეს ახალგაზრდა ადამიანები 17 შვილს უზრდიან სამშობლოს.

ბარაქალა თქვენს ქართველობას! — იტყვის ყველა, ვინც კი თვალს შეავლებს ლოლასა და რამინის ბავშვებს. ხულ უფროსი მათში, ნოდარი, 25 წლისაა. იგი ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობს. უმცროსი ტყუპი და-ძმა ავთანდილი და თინათინი კი რამდენიმე თვისანი არიან.

ლოლა ზარანდიას ოთხჯერ შეეძინა ტყუპი ბავშვი. უფროსი ტყუპი გოგონები მერი და ნელი მერვე კლასში სწავლობენ. ისინი დედის ერთგული თანაშემწეები არიან, მზრუნველობას არ აკლებენ თავიანთ უმცროს და-ძმებს.

ტყუპი ძმები — მიშა და ვალერიანი მე-6 კლასში სწავლობენ, შემდეგი ტყუპი ძმები — კარლო და ტარიელი კი პირველკლასელები არიან. დღენიადაგ შრომობენ რამინი და ლოლა. განა ცოტა ხაზრუნავი აქვთ 17 შვილის დედ-მამას. მათ ეხმარებიან უფროსი შვილებიც.

ზარანდიების ოჯახმა გასულ წელს ხაჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 13 ტონა ჩაი მოკრიფა და ახობით შრომადღე გამოიმუშავა. ზარანდიები ამასთანავე უვლიდნენ მეექვსე ნახევარ სიმინდის ყანას და პრემიის სახით მიიღეს 4 ტონა ხიმინდი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ლოლა და რამინ ზარანდიები და მათი შვილები.
ფოტო ი. ნანიკაშვილისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲞᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲛᲓᲒᲘᲡ 1967 ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲔᲡᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

წარმოებისაგან მოწყვეტით:

1. ბოტანიკა, 2. გენეტიკა, 3. ციტოლოგია, 4. სახოფლო-სამეურნეო მანქანები, 5. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია (ტრაქტორები და ავტომობილები), 6. მემცენარეობა, 7. სუბტროპიკული კულტურები, 8. მეტეოროლოგია.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:

1. მცენარეთა ფიზიოლოგია, 2. სუბტროპიკული მცენარეული ნედლეულის შენახვა და გადამუშავება, 3. ეთერზეთოვანი კულტურების ტექნოლოგია, 4. სუბტროპიკული კულტურები, 5. მემცენარეობა (მევენახეობა), 6. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია.

ასპირანტურაში წარმოებისგან მოწყვეტით მიიღებიან მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო წარმოებისგან მოუწყვეტლივ არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, გამოავლინეს უნარი სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არჩეული სპეციალობის მიხედვით აქვთ სულ მცირე 2 წლის საწარმოო სტაჟი.

დაუწერელი და საღამოს ინსტიტუტების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილის მიხედვით მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება, დაიშვებიან ასპირანტურაში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად უშუალოდ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ მსურველებმა უნდა შეიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე სწავლების ფორმისა და არჩეული სპეციალობის ჩვენებით.

განცხადებას უნდა დაერთოს კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცნობები გამოგონების შესახებ. ის პირები, რომლებსაც არა აქვთ ასეთი შრომები, ადგენენ სამეცნიერო მოხსენებებს (რეფერატებს) არჩეული სპეციალობის მიხედვით, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი იმ პირთათვის, რომლებიც რეკომენდებული არიან ასპირანტურაში უშუალოდ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ. პასპორტსა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავ